572/
1983/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132-5965

№ 11 ნოემბერი 1983 წ.

ფილოსოფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასილ გვეტაძე

მოფრიალე ალმებით ნოემბერი მოვიდა

ყვავილების თოვითა
და გაშლილი ალმებით
ნოემბერი მოვიდა
და ჩვენც მივესალმებით.
ცისკრის ნათელ ღიმილში,
ალბათ დაინახავდით,
ისე მოჩანს თბილისი,
როგორც მხატვრის ნახატი.
მტკვარში ჩქერი ქაფქაფებს,
თითქოს შუქი ჩაღვარეს.
ისევ დაჰკრეს დაფდაფებს,
კვლავ ჩაჰბერეს ნაღარებს.
აკრიალდა უკლებლივ,
ქუჩაა თუ კორდია.
დაფდაფებით, ბუკებით
მალხაზები მოდიან.
ყელზე ალის ფერები,
პაწაწინა ხელები...
ჩვენი პიონერები!
ჩვენი ოქტომბრელები!
შემოდგომის ქარვაში
დღეა ამონავლები.
როგორც კოხტა ქალ-ვაჟნი

მტკვართან დგანან ალვები.
იმ ალვებში წიგნია
ძეგლად წამომართული.
იმ ალვებში წიგნია—
„დედა ენა“ ქართული.
ზეიმია გარშემო
და რეკს ზარი ზემრდან:
— გაიზარდეთ, ბავშვებო,
ქვეყნის სასახელოდა!
მერცხლის ლხენა-ფრენითა,
როგორც ლექსის პწკარები,
ტკბილი „დედა ენიდან“
წკრიალებენ ზარები.
მზე კი ოქროს სხივებით
მტკვარს უკოცნის ნაპირებს,
ფეხს უწყობენ მწკრივები
პიონერულ საყვირებს.
მარჯან-ლალის თოვით და
მოფრიალე ალმებით,
ნოემბერი მოვიდა
და ჩვენც მივესალმებით.

მხატვარი თემურ ფხიკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

17.465

აი, ვის უნდა მივბაძოთ!

ნუგზარ აფხაზავა

— ქეთინო, მიხაკებიანი ლარნაკი მომაწოდე!

— აბა, ირმა, ახალი წყალი შემოარბენინე! სწრაფად, ბიჭებო! სკამები კედელთან მივალაგოთ!

— უჰ, შე ლაყევ, შენა! კინაღამ მაგიდა არ ამოაყირავა?!.

ოთახში ნეონის ნათურები ჩახჩახებდა. ყველაფერს საზეიმო ელფერი ედო. გარეთ კი მოღუშული ცა ჩამოსწოლოდა დედამიწას...

— მოდიან, მოდიან! — შესძახა ფანჯრის მინაზე ცხვირმიჭყლეტილმა ლაშამ.

...სამამულო ომისა და შრომის ვეტერანები — თედო მაისურაძე და ლევან მეზურნიშვილი ერთხელ უკვე იყვნენ სტუმრად 149-ე სკოლაში. მაშინ ისინი პიონერებს ეწვივნენ; ოქტომბრელებთან კი დღეს პირველად მოვიდნენ. თვალებგაფართოებული ნორჩები მოკრძალებით შესციცინებდნენ ორდენებითა და მედლებით მკერდაბდღვრიალებულ ღვაწლმოსილ ადამიანებს. რა გზა გაუვლიათ, რამდენი რამ გაუკეთებიათ და — საოცარია! — მაინც შერჩენიათ ახალგაზრდული სიმკვირცხლე და ენერგია!

არადა, ლევან მეზურნიშვილს სამოცდაათ წლამდე აღარაფერი უკლია, თედო მაისურაძემ კი უკვე ოთხმოცს გადააბიჯა.

— ლევან პაპა, გვიამბეთ როდის დაიწყეთ შრომა! — გაბედა თხოვნა დარეჯან სულაშვილმა.

ლევან პაპამ თავზე ხელი გადაუსვა გოგონას.

— აბა როგორ გითხრათ, შვილო. თქვენი ტოლი რომ ვიყავი, უკვე მხარში ვედექი მშობლებს. 17 წლისამ ყაზბეგში, „ანდეზიტმშენში" დავიწყე მუშაობა. მას შემდეგ ვემსახურები ხალხსა და ქვეყანას...

— ახლაც მუშაობთ, პაპა? — გათამამდა ირმა ხარაძე.

— აბა როგორ! განყოფილებას ვხელმძღვანელობ ერთ-ერთ სამშენებლო ტრესტში.

— ესე იგი, უკვე 50 წელია შრომობთ, — შენიშნა მინდია ქავთარაძემ, და დასძინა: — არ დაიღალეთ, ლევან პაპა? ან თქვენ, თედო პაპა?

— უყურებთ, რას გვეკითხება?! — ყასიდად გაბრაზდა თედო მაისურაძე. — დაღლა რას მიქვიან! თქვენ რა, სწავლით რომ დაიღლებით, მაშინვე თავს ანებებთ წიგნს?.. იქნება ცოტა დავიღალეთ კიდეც, მაგრამ კიდევ საკმაო ძალა შეგვრჩა. არა, ლევან?

— თედო პაპა მართალია, ბავშვებო. ამას წინათ ამხანაგმა იური ანდროპოვმა თქვა, ვეტერანები მხარში უნდა გვედგნენ, მათ გამოცდილებას ოქროს ფასი ადევსო. მართლაც, საქვეყნო საქმეს რა გამოლევს და რაკი ძველი ფხა მოგვდევს, ფეხიფეხგადადებული ვერ დავსხდებით, ვერ მოვისვენებთ...

— თქვენა თედო პაპა? თქვენ როდისღა დაიწყეთ შრომა? — იკითხა ახლა მაია გნოლიძემ.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

— სამი კლასი დავამთავრე. მას შემდეგ სულ ვშრომობ. მოჯამაგირეობით დავიწყე, მერე კოლმეურნეობაში ვმუშაობდი. 1942 წელს ფრონტზე წავედი. ბატალიონის კომისარი ვიყავი. ვიბრძოდი უკრაინაში; ლენინგრადთან მტრის განადგურებაშიც მივიღე მონაწილეობა.

— თქვენ სად იბრძოდით, ლევან პაპა? — ასლა უჩა ხელაშვილი დაინტერესდა.

— ბევრგან, შვილებო, — კურსკთან და ბელგოროდთან, ელეცთან, პოლონეთში, გერმანიაში... არასოდეს დამავიწყდება ქალაქ სანდომირის მიდამოებში გამართული ბრძოლები. — ერთ დღე-ღამეში მდინარე ვისლაზე ავაგეთ ათმეტრიანი ხიდი და ხელი შევუწყეთ ჩვენი ჯარების შეტევას... იმ ოცდაოთხი საათის განმავლობაში ფაშისტების ავიაციისა და არტილერიის გრიგალისებური ცეცხლი გვაწვიმდა თავზე... იაპონელების განადგურებაშიც ვმონაწილეობდი... ერთი სიტყვით, მე და თედო პაპამ, ორივემ, მთელი ომი გამოვიარეთ, ერთმანეთს კი არ შევხვედრივართ, არც ევროპაში და არც შორეულ აღმოსავლეთში.

— მაინც ერთად ვიყავით, ერთ საქმეს ვემსახურებოდით, — დაასკვნა თედო პაპამ.

კიდევ კარგახანს ისაუბრეს ვეტერანებმა და ბავშვებმა. განცვიფრებული იყვნენ დათო ჩიფჩიური, მაკა რურუა, ქეთინო ქათამაძე, თამრიკო გოგოლაძე, უჩა ხელაშვილი, თემურ არსენაშვილი და მათი ამხანაგები — თურმე რამდენი რამის გაკეთება შეიძლება ერთი სიცოცხლის მანძილზე! მთავარი ყოფილა, იყო ბეჯითი, კეთილი, პატიოსანი, სამართლიანი, დისციპლინიანი, უანგაროდ გიყვარდეს მშობელი ხალხი.

თუ ასეთი იქნები, წინ ვერაფერი დაგიდგება!

აკი სწორედ ასეთები არიან თედო პაპა და ლევან პაპა...

...ოთახში სინათლემ იმატა: გარეთ წვიმას გადაეღო და ცა აჭრელებულიყო. მზემაც გამოიჭვრიტა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურთაზ ჩახავა

მხატვარი ჯანო დანელია

ოკეანე დღეს უკვე აღარ შფოთავდა.

წინაღამით ნაბრძოლი მეზღვაურები ახლაც მხნედ გამოიყურებოდნენ. ერთადერთი ტრაულერი, თევზის ჭერისათვის თავი რომ არ დაენებებინა, „შოთა რუსთაველი“ იყო. გამოცდილ კაპიტანს, გენადი კაჭარავას ტყუილად როდი შეარქვეს „ზღვის მგელი“. ბევრს არც გაჰკვირვებია ცხრა ბალიან ქარში მისი სანაოსნოდ გასვლა. ახლა კოლხი მებადურები ისვენებდნენ. რამდენიმე მეზღვაური ტრალზე ბადეს ახვევდა.

საოცრად ლამაზად გამოიყურებოდა ატლანტის ოკეანე. მღვრიე ფერი გაცრეცოდა. მზე უშველებელი ცის ფონზე გაშიშვლებულიყო და მთელი ძალით აცხუნებდა.

ტრაულერი გუგუნით მიიწევდა წინ და ღრმა, აქაფებულ ნაკვალევს ტოვებდა. მოღიავებულ ილუმინატორებში ნიავი ქროდა. წელსზემოთ გაშიშვლებული მეზღვაურები ჰამაკებში თვლემდნენ. სამზარეულოდან კი შემწვარ-მოხრაკულის სუნი იფრქვეოდა. ვიღაცა აკვიატებულ მელოდიას უსტვენდა. თოლიები წიოდნენ. ანძაზე გამოკიდული ფერადი სამკუთხა ალმები ნიავზე ფარფატებდნენ.

კაპიტანი სავარძელში იჯდა. მაგნიტოფონი დაბალ ხმაზე ჩაერთო. ლირიკულ მელოდიას შორს გაეტყორცნა მისი თვალები, და ჩიბუხმომარჯვებული ღია ილუმინატორიდან ცის ნაჭერს მისჩერებოდა.

კაიუტაში ზარის წკრიალი გაისმა.

— ამხანაგო კაპიტანო, გაცნობებთ, რომ კურსიდან ხელმარჯვნივ ვეშაპების ქარავანი გამოჩნდა.

— გასაგებია, — უპასუხა კაპიტანმა და სწრაფად კაპიტნის ხიდურისაკენ გასწია. შეაღო თუ არა კარი, ჭოგრს დაწვდა და მზერა ქარავნისაკენ მიმართა.

შავზურგა ვეება ვეშაპები ერთმანეთში ირეოდნენ, თამაშობდნენ, ცაში შადრევნებს აშხეფებდნენ. კაპიტანმა გულმოდგინედ შეათვალიერა ისინი. თორმეტი შადრევანი ცას წვდებოდა.

— ყურადღება! — გაისმა ბრძანება, — ყველა მეზღვაური გემბანზე!

ტრაულერმა კურსი იცვალა. თვალის დახამხამებაში მეზღვაურები გემბანზე გამოეფინენ.

სიფრთხილე იყო საჭირო. კაპიტანმა კარგად იცოდა, რომ ხრახნის ხმაური თითქოს დუელში იწვევს ვეშაპებს. მათ იერიში მიაქვთ ხრახნზე, მონაცვლეობით ურტყამენ თავს. ამ ბრძოლაში ბევრი ილუპება კიდეც, მაგრამ ძლიერი დარტყმებისაგან ხრახნი ლურსმანივით იგრიხება და მწყობრიდან გამოდის.

ტრაულერი თანდათან უახლოვდებოდა ვეშაპების ქარავანს. შეამჩნიეს თუ არა მათკენ მიმავალი ხომალდი, ვეშაპები ერთბაშად დაიძრნენ.

კაპიტანმა ძრავა გამორთო. ხრახნის ზუზუნი შეწყდა. სამარისებურ სიჩუმეში ხომალდი გედივით გაცურდა და ვეშაპების ქარავანში შეიჭრა. ვეშაპებმა ხომალდის გარშემო თამაში დაიწყეს. კედლებს ეხახუნებოდნენ, ყვინთავდნენ, ერთი-ორჯერ შადრევანიც კი ამოაფრქვიეს, აპარატმომარჯვებული მეზღვაურები ნინ და უკან დარბოდნენ.

კარგა ხნის თამაშის შემდეგ დინებამ ხომალდი ქარავანს დააცილა.

წინ კვლავ ვეებერთელა სივრცე გაიტყორცნა.

რადიორეპროდუქტორში ქართული სიმღერა გაისმა. თვალწინ ნარაქლემის კუზივით იგრაგნებოდა გაშლილი ოკეანე და თეთრ ხომალდს უშველებელი ბკვანივით არწევდა. უკან დაირასავით ეკიდა ნითელი მზე და ლურჯ წყალში გაბლანდული მინის ნამსხვრევებივით ლაპლაპებდა. გარშემო ერთი წრიაპ-გნიასი ისმოდა. ქარისაგან აშლილი თოვლის ფანტელებივით ირეოდნენ ერთმანეთში თოლიები, ფრთებმოწურულნი ენარცხებოდნენ მაღლიდან წყლის ზედაპირს და შერე ფრთების მძიმე ფათქუნით ისევ მაღლა ითრევდნენ ტანს.

მოშორებით, ვეშაპების ვეება თავებიდან ასვეტილი შადრევანის ჭავლები თითქოს ერთი ძალით შესდგომოდნენ მზეს ქვემოდან და პლასტმასის ფერადი ბურთივით მაღლა აეტაცნათ იგი .

გარშემო დგაფუნი ისმოდა. ისევ ისე ბრჭყვიალებდნენ ლილისფერ წყალზე მფრინავი თევზების ვერცხლისფერი ზურგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ქვის ხანა, ანუ ფიქრის ეპოქა

ჯურხა ნადირაძე

სახლის აშენების ამბავი

ახალი ცხოვრება კაცმა სახლის აშენებით დაიწყო. მღვიმიდან ხოდაბუნზე რომ გადასახლდა, გაშლილ ადგილზე წრე შემოხაზა. წრეს ხის სარები შემოაყოლა და თხილის წნელებით კედლები შემოუწნა. წინათ კაცი ასე ცეცხლის გადასატან გოდორს წნავდა. მოწნულ გოდორს შიგნიდან თიხის სქელი ფენით ლესავდა, ნაცარში ნაკვერცხლებს შეახვევდა, გოდორში ჩაყრიდა და ცეცხლს თან დაატარებდა. ახლა კაცმა გოდრის გასაკეთებელი ხერხი სახლის ასაშენებლად გამოიყენა. წნელით მოწნული ფაცხის კედლები თიხით შელესა, სახლის შუაგულში გამოქვაბულიდან გამოტანილი ცეცხლის გოდორი დადგა, ნაცარი გაქექა, ნაკვერჩხლები გააღვივა, ზედ ფიჩხი დააყარა, ალი ქოხის კედლებზე ალიცლიცდა და საოჯახო კერამ სახლი დაათბო. დრო რომ გავიდა, კაცი სამშენებლო საქმეში კიდევ უფრო გაიწაფა. ალიზისაგან აგურები დაამზადა და წრიული ფორმის სახლების აშენება დაიწყო. სამიოდე მეტრის სიმაღლის ნაგებობას კაცი ზანდათან ავიწროვებდა და გუმბათისებურ ჭერში ნახვრეტს უკეთებდა, ნახვრეტში კერიის ბოლი ადიოდა.

მდინარეებს — ხრამსა და მამავერას შორის გაშლილ ველზე, მზისფერ ხოდაბუნებზე და ლურჯად მობიბინე ზვრებში არქეოლოგებმა მიაკვლიეს მწვანე ბორცვებს. საუკუნეების მანძილზე ხალხი ამ გორებზე ნახირს აძოვებდა და აზრად არავის მოსვლია, რომ მათ ფეხქვეშ უძველესი სოფლები იმალებოდა. არქეოლოგებმა გათხარეს ეს სოფლები და ათასწლეულების წინათ მიწაში ჩაძირულ საცხოვრისში ისევ დაირხა ამქვეყნიური ხმები. დაუბერა ნიავმა, შხაპუნა წვიმა ახმაურდა პატარა ეზოებში და ვიწრო შუკებში. გუმბათგადანგრეული სახლების სოხანეებზე გუბეები დადგა და მზისაგან შემშრალ მიწაზე ადამიანის ნატერფალი გამოისახა. იგი აქ ოთხმოცი საუკუნის წინათ დააბიჯებდა. იმ ხანას მეცნიერები ნეოლითს უწოდებენ. „ნეო“ ახალს ნიშნავს, „ლითი“ კი, როგორც ადრეც მოგახსენეთ, ქვას. რატომ დაარქვეს მეცნიერებმა იმ ეპოქას ახალი ქვის ხანა? იმიტომ, რომ ადამიანი იმ დროსაც ქვის იარაღებს აკეთებდა, მაგრამ ამ იარაღებს ახლა სულ სხვა დანიშნულებით იყენებდა, სულ ახალ, მანამდე გაუგონარ საქმეებს აკეთებდა — თოხით მიწას თოხნიდა, კაჟის ნამგლით კი ყანას მკიდა, თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ვიდრე ადამიანი მიწას მოთოხნიდა, იგი მზამზარეული ყანებით სარგებლობდა. საქმე ისაა,რომ საქართველო ველური ხორბლეულის ქვეყანაა. შორეულ წარსულში აქაურ ნაყოფიერ ველებზე შემოდგომის ცივი ქარებისაგან მიწაში ჩაცვენილი ქერისა და ხორბლის მარცვლები გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმებს მწვანე ჯეჯილად ამოჰყავდა, ზაფხულის მზე კი ამწიფებდა ველურ პურეულს. მზეზე მბზინავი თავთავიანი ხოდაბუნების შემყურე ხალხი შეეჩვია ერთ ადგილზე ცხოვრებას და ყანების ახლოს დაესახლა. ჯეჯილი აბიბინდებოდა თუ არა, კაცი ყანიდან აღარ გამოდიოდა, გარშემო უვლიდა, თავს დასტრიალებდა, ღამდამობით კოცონს ანთებდა და ირმების არვეესა და გარეული ცხვრის ფარეს აფრთხობდა, რომ მათ ჯეჯილი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაეჭამ-გადაეჯეგათ. ხალხის ერთი ნაწილი ყანას რომ დარაჯობდა, მეორე ისევ თავის უძველეს ხელობას — მონადირეობას მისდევდა.

ცხოველების მოშინაურების ამბავი

მობეზრდა მონადირეს სულ მუდამ ნადირის დევნა, ტყე-ტყე წანწალი და კლდე-ღრეში ხეტიალი. დაჯდა, დაფიქრდა, იფიქრა, იფიქრა და დიდი საკაცობრიო საქმე მოიფიქრა, ნადირობის დროს დაჭერილი ცხვრის ბატკნები სოფელში დარჩენილ მემინდვრეებს მიჰგვარა გასაზრდელად. სულ პაწაწინებს ქალებმა ძუძუ აწოვეს (თქვენ ნუ გაიკვირვებთ ამ ამბავს, ასეთი რამ ჩვენს დროშიაც ხდება — ჩრდილოეთ იაპონიაში ასიოდე წლის წინათ ქალები დათვის ბელებს ძუძუს აწოვებდნენ, ვიდრე ისინი ჭამას ისწავლიდნენ), მოზრდილებს ბალახით გაუმასპინძლდნენ. ველური ცხვრები თანდათან მოთვინიერდნენ. ზამთარში ბაკში შერეკილი ბატკნები თივა-ნეკერს აკნატუნებდნენ და სულ მალე პატრონის ხელის შემყურენი გახდნენ — გაიზარდნენ, გამრავლდნენ.

ასე მოიშინაურა ადამიანმა ცხვარი, და იმ

დროიდან მოყოლებული მონადირეობა აღარ წარმოადგენდა ხალხის საარსებო წყაროს. ძველი ქვის ხანის მთავარი საქმიანობა — მონადირეობა ახალი ქვის ხანაში მესაქონლეობამ შეცვალა. კაცს ახლა ცხვრის ფარები დაუდიოდა მთასა და ბარში, ხორცი და მატყლი თავზე საყრელი ჰქონდა და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ იმ ბრაზიანი დათვების დევნა-დარაჯობას თავი დააღწია.

ცხვრის მოშინაურებიდან დიდი დრო არ გასულა, რომ ის პირველყოფილი მეცხვარეები მგელ-ძაღლებმა საგონებელში ჩააგდეს. მწყემსებმა რომ ფარები მთის კალთებზე გარეკეს, მგლებმაცა და ძაღლებმაც იმ ფერდობების ახლომახლო ხევ-ხუვებში დაიდეს ბინა. დღისით შამბნარში თვლემდნენ, და დაღამდებოდა თუ არა, ყეფა-ყმუილით ერთმანეთს თავს უყრიდნენ. ღამის სიბნელეს ამოფარებული ხროვა ცხვრის სადგომებს ესხმოდა თავს, ანადგურებდა ადამიანების მიერ ნაამაგარ ცხოველებს, შუბებითა და მშვილდ-ისრით შეიარაღებულ მწყემსებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდათ გამართული გამძვინვარებულ მხეცებთან, მაგრამ მგელმა მგლობა არ მოიშალა და სიცოცხლეგამწარებულმა კაცმა ისევ ფიქრს მისცა თავი; იფიქრა, იფიქრა და ახლაც დიდი საკაცობრიო საქმე მოიფიქრა — შამბნარით შემოსილ ხეობებში ბომბორა წითური ძაღლების ბუნაგები შეიგულა, დაუდარაჯდა, და როცა დიდი ძაღლები ცხვრის მოსატაცებლად წაძუნძულდნენ, იმათი ლეკვები ბუნაგიდან ამოსხა და სოფელში დარჩენილ დიასახლისებს მიჰგვარა გასაზრდელად. იმ კუდბუთქუნა წითურმა ლეკვებმა ძაღლობა არ მოიშალეს და თავიანთი წვეტიანი ყვითელი კბილებით ბარე ორ ბავშვსა და ქალს სისხლი დაადინეს.

— არ მოიშლით მაგ კბენა-ღრენასაო, — უთხრეს ლეკვებს და ის შავპრიალა დრუნჩები და ყვითელი წვეტიანი კბილები მაგრად ჩაუბეგვეს. აწკმუტუნდნენ წითური ლეკვები და იკადრეს სკამლოგინის ქვეშ შეძრომა. ერთხანს იქ იყვნენ, მაგრამ მალე მოშივდათ და ისევ წკმუტუნ-წკმუტუნით გამოძვრნენ უკან, მაშინ დიასახლისებმა დამშეულ ლეკვებს ცხვრის რძე დაალევინეს, როცა წამოიზარდნენ, ხორცითაც გაუმასპინძლდნენ, ლეკვები ჭკუაზე მოდგნენ და თავიანთ ახალ პატრონებს შეელეკვნენ; გაიზარდნენ, გამრავლდნენ და ადამიანის უერთგულესი ცხოველები გახდნენ. ხომ გაგიგონიათ გამოთქმა — ძაღლივით ერთგულიაო, — ათასწლეულების მანძილზე ემსახურა ძაღლი ადამიანს და იმიტომ არსებობს ეს გამოთქმა. ძაღლი დარაჯობდა სოფელსა და სახლს, ბაკსა და ბაღს, გარშემო უტრიალებდა იალაღებზე გაშლილ ცხვრის ფარებს, ფარაში შემოავრდნილ მშიერ მგლებთან შებრძოლება ზოგჯერ სიცოცხლის ფასად უჯდებოდა, მაგრამ პატრონისათვის არასოდეს უღალატნია. ასე მოიკიდა ადამიანმა მტერი მოყვარედ. ძაღლის მოშინაურების შემდეგ ცხვარი გამრავლდა, მწყემსმა გაიხარა, ლერწმის ღერტუჩი შეახო, სალამურის საამური ხმა წითელყვითელი, ნაზი და ლამაზი ყვავილებით აფერადებულ ფერდობებს შეუყვა, მწვერვალზე ააწია, ცას შეუერთდა და ქვეყანას მოეფინა.

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ნანა ლეონიძისა

ანბანთქმბა

ღრია ენა გაიტეხო
და ისწავლო, ჩემო ვანო:—
ანი-ბანი,
ანბანთქმბა:
აბგად-ეზთან,
იკალ-მანო.
მართალია, ძნელი არის,
დაგეჭირდება ღიღი ჯაფა!
პაკა-რასტა,
უფკა-ღაყაშ,
ჩაცა-ძაწა,
ჭაბა-ჯაჰა...
თითქოს ფარ-ხმალს გააკეთ ჯაბი,
თითქოს ცეცხლს სწავლობ იღეთს,—
გაგეკვირი
ანბანთქმბა
საზეპიროს აავიღებს!..
შენთან ერთად სიყვარულით
ვიმეორებ, ჩემო ვანო,—
ანბანთქმბას:
ანი-ბანი,—
აბგად-ეზბათ, იკალ-მანო...



რაფაელ ფანელია

დათუნია

შეჯდა ველოსიპედზე
ბურღღლუნია დათვი,
დაეტაკა წიფელს,
ბალიტკაცა თათი.
ბაგრამ კი არ იტირა,
წამოვარდა ფეხზე,
ველოსიპედს ჯარიანი
მოფერინდა ისევ.
ბელნები აკენტენ
დათუნიას შეშლილს.
შერე ფეიან ლაპარაკი
ბაბუამან ამბობენ.

დავით ბაკია

ბებოს მოსაყვარულე

ლღეს გაიგო თეზიკამ
ბებო რომ ჰყავს ავადა.
ხელ-პირის იბანს, ეწყობა,
მიდის სანახავადა.
თან ბეზოლინებს: ბებია
მარტოსულია ეტყვის.
ალბათ სალმე ეკლია,
სულ მაგიკომ ბრალია.
ალ ლატოვა სოფელი,
ბინი ბინდოლა-ველები?
ეგ დაკარნები სოფელში,
ბებოს მიეე შეველები.

ბარბარა ფანანავიჩისა

ბულუხვი შეეღდგომა

ყველა საკმეს ჩაკარკარტეს,
ყველა შრომობს ერთად.
ნიკამ ხალა მოიმარაკა
კარის დასაბერტეად.
ლიბარეა თხილი ბუჭეში,
ჩენნოს ბენტეს ჯარი,
ხეზეტერმა დაშაკრეულმა
დაეშეენა მხარი.
კოშში ყვინალად ლაიშკრა,
ჯარასავით ბლაეეს
ალათები მიაეველეს
ხატიან და ლეღეან.

ალექსანდრა ტარატაკა

ასკილი

ეარდიეთ თავს არ იწონებ,
ბაგრამ ასკილო, იკოდე,
მარტო ლამაზი კი არ ხარ,
სასარგებლო ხარ, დიახაც.
ეინეე ეენი ნეკენი ლალია,
თუნდაც ეენ ნეკენი ლალია,
ბეკ ტყეში ბიტოდა ტალიან.
ყოველდღე ბიტოდ ბეკეიან.
ეკრიფეთ ბიტოდ ბეკეიარ
ნაყოფი და ეკრიფეთ ეე ეენი
თუნდაც ეიტკბა ეე ეეებით...
ეენ ეიტკბა ეე ეეებით...
ეენ ეიტკბა ეე ეეებით,
ეენ ეიტკბა ეე ეეებით,
ეენ ეიტკბა ეე ეეებით,

თხუნელასა და სათვალის ზღაპარი

კარლო კობეზრიძე

ჩვენი ჭკვიანი, კეთილი პაპა სულხან-საბა ორბელიანი გვასწავლის, თხუნელა ბრმა თაგვია, მიწაში ცხოვრობსო. დაეჯერება და უნდა დავუჯეროთ კიდევაც. თუმცა შეიძლება ზედგამოჭრილი თაგვიც არ იყოს, მაგრამ თუ ვინმეს ჰგავს, ისევ თაგვსა ჰგავს: თავიც წაგრძელებული აქვს და დინგიც, ოღონდ ჭამაში უფრო მარჯვეა — თავის წონაზე გაცილებით მეტს მიირთმევს ყოველდღე. მადაც ამასა ჰქვია!

ვინ იცის, იქნებ ოდესღაც თხუნელაც თაგვივით დაცუნცულებდა ეზოში, მარანში, სხვენზე... ანდაზა ამბობს: „ქვეყნიერების დაქცევის მოლოდინში თხუნელამ თვალები დაითხარა, სულ ერთია, აღარ გათენდებაო“. ჰოდა, ცხოვრობს ახლა მიწაში, ზოგჯერ კი ამოდის მიწის ზედაპირზე, მაგრამ ისიც იშვიათად და ისიც შემთხვევით.

თხუნელა ყამირს ერიდება, ნარბილში უყვარს ცხოვრება. ნარბილი დამუშავებულ—მოხნულ, დაბარულ, გათოხნილ მიწას ჰქვია. ზოგი მიწა არასოდეს დამუშავებულა, მაგრამ მაინც ნარბილია — არც ქვა ურევია, არც — ტინი, არც — აყალო მიწა.

თხუნელა უფრო ტყეს, ჩირგვნარს, ბაღჩა-ბოსტანს და ბაღ-ვენახებს ეტანება. ალბათ ნარბილში ხშირად შეგინიშნავთ ამობურცული მიწა. შორიდან რომ გახედავ, იფიქრებ, სქელი, დაძენძილი თოკი გდიაო. ასე ამობურთული მიწა ხან სწორხაზოვნად, ხანაც დაკლაკნილად მიდის სადღაც, ვერ გაიგებ, საით თავი აქვს და საით ბოლო: ეს თხუნელას გვირაბია. ასეთი გვირაბები წვიმის შემდეგ უფრო კარგად აჩნია მიწას.

სწრაფად თხრის თხუნელა — ჭიაყელას ეძებს. ის ჭიაყელაც მოძრაობს მიწაში — საჭმელს ეძებს ისიც. ამ მოძრაობაში წააწყდება გვირაბს და შიგ ვარდება. ეს ამბავი კარგად იცის თხუნელამ, ამიტომ ხშირად თავს ანებებს თხრას და გვირაბში გარბი-გამორბის — ვიდრე გვირაბში ჩავარდნილი ჭიაყელა ისევ მიწაში შეძვრება, უნდა მიასწროს და შეჭამოს. ასე რომ არ იყოს, მარტო თხრით იმდენ საჭმელს როგორ იშოვნიდა? თან შვილებსაც ხომ უნდა აჭამოს? თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ზოგჯერ ათი შვილიც ჰყავს, სულ ადვილად მიხვდებით, რამდენი გარჯა სჭირდება ყოველდღე. ამ „ყოველდღეს“ ჩვენებური გაგებით ვამბობ, თორემ თხუნელა მთელ თავის სიცოცხლეს მიწაში ატარებს, დღისა და ღამის მონაცვლეობაზე საიდან რა ეცოდინება...

ერთხელ მეც პატარა ვიყავი თქვენსავით და მეც მასწავლიდნენ „დედა ენას“. იმ „დედა ენაში“ ეწერა: „თოვლი დედამიწის საბანია“. ეს იმას ნიშნავს, რომ ზამთრობით სითბოა მიწაში. რაკი სითბოა, ჭიაყელაც მოძრაობს და მის მისაგნებად თხუნელასაც ისევ გაჰყავს გვირაბები. მოკლედ, თხუნელა ზამთრობით არ იძინებს, შრომა-გარჯაში გამოიზამთრებს ხოლმე. ცხოველები ზამთრობით რომ იძინებენ, ამას ძილქუში ჰქვია. ძილქუში იცის დათვმა, კუმ, მაჩვმა, ზღარბმა, ხვლიკმა... ზოგი გამოქვაბულში ძვრება, ზოგი ღრმა თხრილში, ზოგიც თვითონ თხრის სოროს და შემოდგომიდან გაზაფხულამდე სძინავს.

ჰოდა, ერთხელაც გვირაბის თხრისას თხუნელა უცნაურ რაღაცეებს წააწყდა, მაგრამ იმ აუარებელი, უცნაური საგნებიდან ერთმა დაინტერესა ძალიან. ხან აქედან უტრიალა, ხან — იქიდან, ბევრი იწვალა, ბევრი იჯახირა, მაგრამ ვერაფრით გაარკვია, რა იყო. ამ ტრიალში გვირაბის ჭერი ჩამოექცა

და მინის ზემოთ არ აღმოჩნდა?! იქვე ვაშლატამა იდგა და კენწეროზე ღაჟო იჯდა. დაინახა ღაჟომ თხუნელა, მაშინვე ქვედა ტოტზე ჩაფრინდა და ეკითხება:

— ვინა ხარ?

— ვინა და, თხუნელა.

— მაშ შენ ისა ხარ, კალიებს რომ კვერცხებს უჭამ ხოლმე?

— მე ისიც არ ვიცი, ვინ არის კალია. ჭიაყელას კი ვჭამ, ჭიაყელასაც, ბოსტანასაც...

— მახრას? — სათქმელი აღარ დაამთავრებინა ღაჟომ.

— მახრა და ბოსტანა ერთი და იგივეა.

— ეს კი ნამდვილად არ ვიცოდი. — ეწყინა ღაჟოს, — თვალები არა გაქვს და ნეტა როგორღა ანსხვავებ ერთმანეთისაგან?

— სუნითა და გემოთი. ბოსტანა უფრო გემრიელია ჭიაყელაზე.

— ბოსტანა კალიას როგორ აჯობებს გემოთი?.. სად იპოვნე სათვალე?

— რა სათვალე? — გაუკვირდა თხუნელას.

— აბა, ეგ რა არის, მინიდან რომ ამოგიტანია?

— ჰოო, ეს მინაში ვიპოვნე. რა ჰქვიაო?

— სათვალე.

ცოტა ხანს დაფიქრდა თხუნელა და მერე ჰკითხა:

— რისთვის არის საჭირო?

— აიფარებ თვალებზე და ყველაფერს კარგად დაინახავ. ამაზე უკეთესი სხვა რა უნდა იყოს?

— თვალები რა არის?

ღაჟომ გაიფიქრა, მგონი ყურმა მომატყუაო:

—რა მითხარი?

— თვალები რა არის-მეთქი.

— თვალებით მზეს ხედავ, მინდვრებს, გორაკებს, კალიებსაც... ყველაფერს, ყველაფერს ხედავ.

— მზე რა არის?

— მზე ის არის, სიცოცხლით, სინათლით რომ ავსებს ქვეყანას.

—სინათლე რაღაა?

ფრთა ფრთას შემოჰკრა ღაჟომ, სიცილი არ იცოდა და სხვა რა უნდა ექნა.

—კინაღამ არ დამავიწყდა, ბრმა რომ ხარ! ბრმამ რა უნდა დაინახოს! მომეცი სათვალე, ყვავს წავუღებ, გუშინ მითხრა, ძველებურად ვეღარ ვხედავო.

—ყვავი ვინ არის?

— ყვავი ყვავია, ფრენა იცის და ჩხავილი.

— ნეტავ ფრენა რა უნდა იყოს? — ჩაილაპარაკა თხუნელამ, მერე ხმამაღლა იკითხა:

— შენ ვინღა ხარ?

— ღაჟო.

— რას აკეთებ ხოლმე?

— დავფრინავ, ვნადირობ, შვილებს ვუვლი...

— ეჰ, წეღანდელს აქეთ არ მინახავს შვილები! კარგია შვილები.

—ეგ სათვალეც კარგია, მომეცი, ყვავს მივუტან და გავახარებ.

— რატომ უნდა მოგცე? — გვირაბისკენ ჩაიწია თხუნელამ.

— აბა, შენ რად გინდა?

— რა ვიცი, იქნებ გამომადგეს რამეში? — თქვა თუ არა, არ წამართვასო, მაშინვე გვირაბში შევარდა.

ღაჟომ სინანულით გაიქნია თავი:

— ბრმას დამიხედე — სათვალე არ გაიმეტა.

მას აქეთ დადის თხუნელა და დაათრევს სათვალეს. გვირაბის თხრაშიც ხელს უშლის, ჭიაყელისა და ბოსტანას დაჭერაშიც, მაგრამ სასხვისოდ არ ემეტება მაინც — რა ვიცი რამეში გამომადგებაო! ალბათ მანამდე ათრევს აღმა-დაღმა და გარდიგარდმო, ვიდრე მთლად არ შემოემტვრევა ხელში.

მხატვარი **ლადო ტატიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲪᲓᲝᲚᲘᲡᲬᲧᲔᲑᲘᲡ



ამ სურათიდან ქართველი ბავშვების დიდი მოამაგე და კეთილი მეგობარი ზურაბ ლეშკაშელი შემოგვცქერის. შემოგვცქერის სიყვარულითა და გულისყურით...

მისი კეთილი და სევდიანი გამოხედვა, მისი ალერსიანი ღიმილი ყველას ეკუთვნოდა, განურჩევლივ — დიდს და პატარას...

მას ადამიანი უყვარდა და ადამიანების სიკეთე უნდოდა, ამიტომ სიყვარულსა და გულისყურს აგებებდა ყველას.

მას სამშობლო უყვარდა და სამშობლოს სიკეთე უნდოდა, ამიტომ მოსიყვარულე გულით, დაუცხრომელი მხნეობით, თავდაუზოგავი შრომით ცდილობდა თავისი კვალი გაევლო საქვეყნო ხნულზე.

განსაკუთრებით ბავშვები უყვარდა — ჩვენი მომავალი.

თითქმის 30 წელიწადი იმუშავა საბავშვო ჟურნალისტიკაში, ბოლო ხანს „დილაში“ იყო პასუხისმგებელ მდივნად და მუდამ იმას თესავდა, რაც თვითონ სწამდა მაღლად და შეურყვნელად — უმწიკვლო პატიოსნებას, ქვეყნისა და ადამიანის სიყვარულს, საქმეში სიმტკიცეს, ურთიერთობაში გულჩვილობას და ლმობიერებას. ამას ის მოსაწყენი დარიგებებით და შეგონებებით კი არ აკეთებდა, ცდილობდა სახალისო ელფერი მიეცა ყველაფრისათვის, რასაც პატარებს ასწავლიდა, რადგან პატარების გულისნადები ესმოდა...

გახსოვთ მისი „კაბადონი“, რომელშიც ზურაბ ლეშკაშელმა გიამბოთ, როგორ იბეჭდება წიგნი?

გახსოვთ მისი თარგმნილი „საბედისწერო ბურთული“—ამერიკელი მწერლის მარკ ტვენის მოთხრობა, რომელიც ჟურნალიდან ამოღებული შუა ფურცლებისაგან თქვენ თვითონ შეჰკინძეთ „დილის“ ბიბლიოთეკის პატარა წიგნაკად?

გახსოვთ რუბრიკა „მობურთალსა მოედანი“, რომელშიც სპორტზე გესაუბრებოდით? ეს და ბევრი სხვა მუდმივი რუბრიკაც— „არჩევანი-არადანი“ (რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის ბავშვთა თამაშობებს გაცნობდით), „ცისარტყელა“ (სადაც გამოჩენილ მხატვართა ქმნილებებს ვბეჭდავდით), „გზაზე მიდის ერთი ბავშვი“ (ქუჩებში მოძრაობის წესებზე), „პიონერის ანბანი“ (რომელიც ოქტომბრელებს პიონერული საქმიანობისთვის ამზადებდა), „რა ხელმა ააგო“ (ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესახებ) — ზურაბ ლეშკაშელმა მოიგონა თქვენთვის.

იცით, რომ ზურაბ ლეშკაშელის დაყინებული თხოვნით შეიქმნა წერილების ციკლები „ადგილთა ვინაობა“ და „მოთხრობები შორეული წარსულიდან“, რომლებიც თქვენ ასე მოგეწონათ.

ბევრ თქვენგანს ალბათ თავის სამუშაო კუთხეში, კედელზე, მიმდინარე წლის სურათოვანი კალენდარი აქვს გაკრული. ყოველი ახალი წლის ნახატებიანი კალენდარიც ზურაბ ლეშკაშელმა მოიფიქრა თქვენთვის.

ან რამდენი გონივრული გასართობი შეადგინა მან, ან რამდენი რამ გასწავლათ ისეთი, რაც მანამდე არ იცოდით...

ზურაბ ლეშკაშელი აღარ არის, მაგრამ მისი სამუშაო მაგიდის უჯრაში დარჩა „დილის“ მკითხველებისათვის მომზადებული რამდენიმე მასალა.

...ზურაბი ისევ ესაუბრება თავის სათაყვანო ბავშვებს — თავისი ქვეყნის მომავალს.

ზურაბ ლეშკაველი

ვინ მოთვლის, რამდენი მანქანა მიმოქრის ჩვენს ქუჩებსა და გზებზე. შენ მათი სახელები იცი. აი, „ვოლგა“, აი პატარა „ჟიგული“, აგერ სულ პაწია „ზაპოროჟეცი“ და უზარმაზარი „ბელაზი“. სწრაფად დაჰქრიან ისინი, მაგრამ ხშირად სვლის შენელება და გაჩერებაც უხდებათ, ეს მაშინ, როცა გზაჯვარედინზე შუქნიშანი ეტყვის მათ: „შესდექ“!

ამას შუქნიშანი სიტყვებით კი არა, ნიშნებით ამბობს.

მას სამი ფერის ნიშანი აქვს-წითელი, ყვითელი და მწვანე. თუ წითელი ანთია, ეს ნიშნავს—„შესდექ! გზა დაკეტილია“. თუ მწვანე:—„გაიარე, გზა თავისუფალია“. ყვითელი შუქი კი მოთმინებისაკენ მოუწოდებს: მოითმინე და მალე გაგტაარებო. მძღოლები შუქნიშანს რომ არ უჯერებდნენ, მანქანები ერთმანეთს მიაწყდებოდნენ.

ვინ ასწავლის შუქნიშანს, როდის რა უნდა თქვას? განა ის მართლა სამი თვალით ხედავს?

ზოგან შუქნიშანს მილიციელი ამუშავებს, უნეტეს შემთხვევაში კი იგი ავტომატურად მუშაობს, ესე იგი გამოთვლილია, რომელ მხარეს რამდენ ხანს უნდა ენთოს წითელი შუქი ან როდის უნდა აინთოს მწვანე.

მაგრამ არსებობენ ისეთი მანქანები, რომლებსაც შუქნიშნის ნებართვა არ სჭირდებათ. ერთ-ერთ ასეთ მანქანას „სასწრაფო დახმარება“ აწერია. წინ, შოფერთან, თეთრხალათიანი ადამიანი ზის. ეს ექიმი ან სანიტარია. მანქანა კი ან ავადმყოფისკენ მიიჩქარის ან საავადმყოფოში მიაქროლებს ავადმყოფს.

ეს რაღაა, ეს წითელი მანქანა, რომელსაც ასევე ყველგან ხსნილი აქვს გზა? შიგ ხაკისფერ ცეცხლგამძლე ტანსაცმელში გამოწყობილი კასკებიანი ადამიანები სხედან. ეს სახანძრო მანქანაა და შუქნიშანი ვერც მას გაიჩერებს. როგორ შეიძლება! ხანძარს თუ დროზე არ მიუსწრო, ხომ გადაიბუგა ყველაფერი!

მანქანები ათასნაირია. აგერ იმას „პური“ აწერია. შიგ კარადასავით თაროები გაუდვიათ და ზედ ახლად გამომცხვარი პური დაუწყვიათ.

ეს მანქანა-ცისტერნაა. ცისტერნებით გადააქვთ ბენზინი, ზეთი, ნავთი, რძე, ღვინო და სხვა თხევადი ნივთიერებები.

ხდება ხოლმე, რომ ქუჩაში ავტობუსი ან ტროლეიბუსი ფუჭდება ანდა მაღლა ელექტროხაზი წყდება. ვინ უნდა უშველოს ამ საქმეს? ამ დროს გაპირვების ტალკვესია ტექნიკური დახმარების მანქანა. მის ძარაზე მაღალი, წვრილი ბოძი დგას, ეს ბოძი სანამდე გინდა, იქამდე აიწევა; წვეროზე მას პატარა ბაქანი აქვს, ზედ კაცი დგას და რასაც უნდა მისწვდეს.

არსებობს ქუჩის დამხვეტი მანქანებიც. აბა მეეზოვეები თავიანთი პატარა ცოცხებით რას აუვლენ ამოდენა ქუჩებს!

ლამაზია ჩვენი თბილისი. ტროტუარების გასწვრივ ხშირფოთლოვანი უშველებელი ჭადრები ჩარიგებულან. ხომ არ გგონიათ აქ იყვნენ გაზრდილი! არა, ეს ჭადრის ხეები უკვე

მოწიფული, ტანაყრილი მოიტანეს აქ—სანერგეში ფესვებიანად ამოთხარეს და ქუჩებში გადმონერგეს. მტვირთავი მანქანები რომ არა, იმოდენა ხეებს ადამიანი როგორ მოერეოდა!

ვარაზისხევი თბილისის ერთ-ერთი ულამაზესი ქუჩაა. ადრე აქ უზარმაზარი ხევი იყო, ხევში ჩამომავალი წყალი ბეტონის მილში მოაქციეს. ზემოდან კი მილიონობით ტონა მიწა დააყარეს, რომ ქუჩა ამაღლებულიყო და გასწორებულიყო. ეს საქმე ჭკვიანმა და გულიათმა მანქანებმა — თვითმცლელებმა შეასრულეს.

ეს ასფალტიც, ჩვენს ფეხებქვეშ, ხომ მანქანამ დააგო და მანქანამვე დატკეპნა.

აბა წარმოიდგინეთ, როგორ გაუძნელდებოდა ადამიანს უმანქანოდ ცხოვრება!

ნახატი იხილეთ გარეკანის მე-4 გვერდზე

ზაქარია შერაზადიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც სამშობლო დაივიწყეს, არც დედა ენა

ეს ამბავი თითქმის ოთხასი წლის წინათ მოხდა — საქართველოს სპარსეთის მბრძანებლის — შაჰ აბასის ურდოები შემოესია. ქართველი ხალხის თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად მტერმა გაანადგურა მრავალი ქალაქი და სოფელი, გაჩეხა ბაღი და ვენახი, შეიწირა კახეთის მოსახლეობის ორი მესამედი. მათგან ასიათასამდე რჩეული ვაჟკაცი მტერს შეაკვდა, ბევრიც ტყვედ ჩავარდა, მოსახლეობის ნაწილი კი დედაწულიანად აყარეს და ირანში გადასახლეს, იქ საგანგებოდ დაცალკევებულად დასახლეს, რათა რაც შეიძლება მალე დავიწყნოდათ ერთმანეთიც, შშობელი ქვეყანაც და დედაენაც.

იმ სამშობლოდაკარგული ქართველების შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ფერეიდანში, ისპაანის პროვინციაში, ხორასანში, მაზანდარანში და სხვა ადგილებში, მაგრამ არც მშობლიური ქვეყანა დავიწყნიათ, არც დედაენა, არც ქართული ზნე-ჩვეულებები, და დღემდე არ ჩაქრობიათ ნატვრა, წყურვილი და იმედი სამშობლოში დაბრუნებისა. ამ რამდენიმე წლის წინათ კი ფერეიდნელთა რამდენიმე ოჯახი დაბრუნდა კიდეც და მამაპაპეულ კუთხეში — კახეთში დაესახლა. მათგან ჩამოტანილ ცნობებს შორის დიდი სიამოვნება მოგვგვარა ცნობამ, რომ ფერეიდნელი ბავშვები თურმე დღესაც იმ ავბედით საუკუნეში საქართველოდან თანგაყოლილი ხალხური თამაშობებით და სპორტით, ძველებური ცეკვა-სიმღერებით იწვრთნიან და იკაჟებენ სულსა და სხეულს.

ფერეიდნელი მამუკა ბაღათერის ძე დათუაშვილის ნამბობის მიხედვით, იქ შემონახული ბევრი ქართული ხალხური თამაშობა სავსებით ისეთივეა, როგორიც დღეს საქართველოში. ზოგიერთი კი გართულებულიც კია, მაგრამ შინაარსით მაინც მნიშვნელოვნად ემთხვევა ჩვენში დღემდე დაცულ ხალხურ თამაშობებს. რაც მთავარია, მათ ძველებურად ქართული სული უდგათ, როგორც თვით ფერეიდნელ ქართველებს. შედარებით უფრო გადავიწყნიათ ფერეიდანში ძველი ლექსები, სიმღერები, ცეკვები... თუმცა ზოგი ცეკვის თუ თამაშის ცალკეული მხარეები, სახელწოდება და სხვა, საქართველოში დაგვიწყებია, ფერეიდანში კი შემოუნახავთ. ამიტომ გადავწყვიტეთ ფერეიდანში დაცული ზოგიერთი ქართული ხალხური თამაშობა გავაცნოთ ქართველ ბავშვებს. სრული იმედი გვაქვს, რომ მათ გაგებაში ბავშვებს დაეხმარებიან მასწავლებლები, მშობლები, ახლობლები, მერე კი პატარები თვითონვე გაუძღვებიან თავიანთ საქმეს...

დავიწყოთ ქართული ტაშისცემის შესწავლით, მით უმეტეს, რომ ტაშისცემა ხშირად ცეკვა-სიმღერის გარდა თამაშობებსაც ახლდა და ახლავს.

ტაშისცემა ჩვენს წინაპრებს უფრო მეტი და სხვადასხვაგვარი სცოდნიათ, ვიდრე ჩვენ დღეს ვიცით.

ყოფილა ტაში სიხარულისა და აღმაფრენისა — გაშლილი ხელისგულების, ანუ ნებების ერთიმეორეზე ცემით.

ყოფილა „ტაშიმუში", რომლის დროსაც ცალი ხელი გაშლილი იყო და მეორე მომუჭული (ტაში და მუშტი). ტაშიმუშს სცემდნენ რაიმეს ფიქრის დროს, ამა თუ იმ საქმის წარმატებით და წარუმატებლად დასრულების დროს და ა. შ.

ყოფილა ტაში „ჩაფუნა" ოდნავ მომუჭული ნებების ერთიმეორეზე ცემით მოგუდული, ყრუ ხმის გამოსაცემად. ასეთი ტაში ფერეიდნელებს შემოუნახავთ ქალთა მასობრივ ცეკვაში, რომელსაც ასევე „ჩაფუნა" ეწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილა ტაში მომუჭული ხელებით, ანუ მუშტებითაც.

გაგაცნობთ ქალთა ცეკვა „ჩაფუნას“. მას ცეკვავენ ზეიმის დროს, რა თქმა უნდა, უმეტესად ახალგაზრდები. რამდენიც გინდა იყვნენ მოცეკვავენი, ისინი შუაზე იყოფიან და ერთიმეორის პირისპირ დგებიან დაახლოებით ათიოდე ნაბიჯის მანძილზე. „ჩაფუნას“ ცემით და ცეკვისათვის შეწყობილი ლექსის სიმღერით ისინი გოგმანით დაიძვრებიან ერთიმეორისაკენ, შუა ადგილზე ერთმანეთის საწყის ხაზებზე გავლენ, აქაც ერთდროულად შემობრუნდებიან და იგივეს იმეორებენ, ვიდრე არ მოსწყინდებათ და ვიდრე სასიმღერო ლექსი არ გაუთავდებათ, თუმცა, თუ სურვილია, ლექსის ისევ და ისევ გამეორებაც შეიძლება.

„ჩაფუნას“ ლექსი თითქმის ასი წლის მანძილზე სხვადასხვაგვარად ჩაუწერიათ ფერეიდანში თუ აქ. აი, როგორია ლექსის ძირითადი ნაწილი:

„გადი-გამოდიან ჩიტები,
მე შენ რას შემეჭიდები...
გადი-გამოდიან კაკბები,
მე შენ შეგეკოკბები...
გადი-გამოდიან მტრედები“...
და სხვ.

მე მომინდა ეს ფერეიდნული ხალხური ლექსი ახლებურად შემევსო—იქნებ ასე უფრო მიზანშეწონილი და შინაარსიანი გახდეს იგი ცეკვაში გამოსაყენებლადაც და საერთო სასიმღეროდაც.

გადი-გამოდიან ჩიტები,
ძმას როგორ შეგეჭიდები!
გადი-გამოდიან ბიჭები,
სამშობლოვ, ყველგან
გვჭირდები!
გადი-გამოდიან მტრედები,
უცხო მხარეში ვბერდებით!
გადი-გამოდიან კაკბები,
მაინც არ დავიკარგებით!
წავლენ თუ წამოვლენ
ხოხბები,
საქართველოში მოვხვდებით!
ვით ტყეს და მინდორ-ველს—
ჩიტები,
სამშობლოს ჩვენცა ვჭირდებით!..

ახლა კი გაგაცნობთ ფერეიდანში შემონახულ ზოგიერთ ქართულ ხალხურ თამაშობას.

კანკლობა (ასკინკილა) ბერასთან

კანკლობა, ანუ კანკალი ფერეიდნული ქართულით ცალფეხა ადამიანის თუ კოჭლის სიარულს ჰქვია. ეს სიტყვა გასაგებსა ხდის საქართველოში გავრცელებული თამაშობის თვით სახელწოდების „ასკინკილას“ მნიშვნელობასაც და შინარსსაც. თამაშში მონაწილეობს 13 წლამდე ასაკის 20-მდე გოგონა და ვაჟი.

მონაწილენი თამაშის ადგილზე მონიშნავენ „ბერას“ (ხე, ქვა, ხაზი...). ერთ-ერთი მონაწილე სურვილით ან კენჭისყრით „ბერაზე დგება“, დანარჩენები 10-20 ნაბიჯზე გავლენ და მწკრივად დადგებიან.

„ბერაზე მდგომი“ ერთ-ერთ მონაწილეს სახელით „გამოუძახებს“ (დაუძახებს). გამოძახებული უმალვე უნდა გამოიქცეს. დანარჩენები გამოეკიდებიან და ბერამდე მოსდევენ. თუ რომელიმე წამოეწია და მოახერხა, ხელს დაჰკრავს.

გამოძახებული თავის მხრივ ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად მიირბინოს ბერასთან და ხელით შეეხოს „ბერაზე მდგომს“, ამის შემდეგ მისთვის ხელის დარტყმის უფლება აღარავის აქვს.

ბერასთან მირბენის შემდეგ „გამოძახებული“ „ბერაზე დგება“, ბერაზე მდგომი კი იწყებს „კანკლობას“ — ასკინკილით დასდევს დანარჩენებს და ცდილობს ხელის ჩავლებით „დაიჭიროს“ რომელიმე. თუ ეს მოახერხა, „თავისუფლდება“. სამაგიეროდ ყველა გამოეკიდება „დაჭერილს“, რომელიც აგრეთვე ბერასთან გამორბის, რომ მოთამაშეებმა ხელი ველარ დაჰკრან. ბერაზე მისი მოსწრებისა და ხელის დაკვრისთანავე მოთამაშეებს ისევ კანკლობით (ასკინკილით) გამოედევნება „ბერაზე მდგომი“ და ა. შ.

თამაში გრძელდება სურვილის მიხედვით, დაღლამდე.

მხატვარი ბესო ხიდაშელი

ვ. მარქსის სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩუქარი

ნუგზარ შავგულიძე

ალბათ ის, რაც ცხადში ნახა
ძილშიც ჩაჰყვა დარდად,
ეხვეწება დილით დედას
ცისფერთვალა თამთა:
ჩვენს პატარა მურიკელას
ყური სტკივა...
თვალთან...
ვუექიმებ დედიკონა,
თუკი ნებას დამრთავ.

თამთა

თამთა, ჩემო ცუგრუმელავ
ჩემო თვალის სინათლევ,
რა უყავი დიდი ჩანთა
რომ გიყიდე წინადღეს?
რა ვუყავი და ვაჩუქე
დათუნია დრუნჩასო,
სწავლა უნდა და სკოლაში
ხომ ვერ ივლის უჩანთოდ.

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კროსვორდი



თ ა რ ა ზ უ ლ ა დ: 5. ქართული ანბანის პირველი ასო; 6. მეტყველების ორგანო; 7. საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკა.

შ ვ ე უ ლ ა დ: 1. ქალის ტანსაცმელი; 2. სასწორის თეფში; 3. პატარა ნღინარე; 4. მარცვლეულის გასალეწი ადგილი; 8. ქალაქი ყირიმის ნახევარკუნძულზე; 9. მდინარე საქართველოში; 10. ხილი; 11. ხალხური თამაში.

კროსვორდი შეადგინეს გურჯაანის რაიონის სოფ. შრომის საშუალო სკოლის I და II კლასის მოსწავლეებმა და-ძმა რაისა და ალექსი სულაძეებმა.

ეპიგრაფი

ვარსკვლავთა მთლიან სისტემას
რაც ჰქვია, გეცოდინება,
კიდური ხმოვნის შეკვეცა
ჩვენმა შარადამ ინება.
ბოლო თანხმოვნით მეხუთე
ბგერაც შეცვალო, იქნება!
რაჭის წარმტაცი ქალაქი
დასკვნით ნაწილად გჭირდება.
პასუხად დიდი პოეტის
სახელი გამობრწყინდება.

ზოთა ამირანაშვილი

გამოცანა

მუდამ შენს ირგვლივ ვტრიალებ,
მგრძნობ, მაგრამ ვერა მხედავ,
უჩემოდ ვერ იარსებებ,
მე ვარ სიცოცხლის დედა.

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის კომუნისტური ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი შემცოსაკლასელ. თათვის

გამოდის 1927 წლიდან

სდკ კპ ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

ყდაზე: „ცოდნის ზარი — დედა ენა". მოქანდაკე ელგუჯა არაშუკელი

მთავარი რედაქტორი ენვერ ნიშარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ აბაზაძე, ილია ანთელავა, აკაკი ბოზიაშვილი, სოლომონ დევაურანაშვილი, ლეილა ერასე, მანანა კოზახიძე, გიგა ლოსაბერიძე, თამაზ ლომსაძეები, ჯუმბა ნაფრიანაძე, გიორგი როინიშვილი, (პასუხისტარი რედაქტორი), მანანა ხარიძე, ბიბი ციციანაძე.

ტექნიკური რედაქტორი ენდი ნერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; კ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; გამგეობ. 93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწყობად 14/IX 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XI 83 წ. ქაღალდის ზომა 60×90/8. ფიზ. ნაბ. ფურცელი 2,5, ტირაჟი 135000, შეკვ. № 2173. «Дидактикуми № 11», журнал для младшеклассников на грузинском языке. Главный редактор Э. Нижарадзе. Тбилиси, Ленина, 14. Ц 20 к.



ფასი 90 კაპ.

აქ სხვადასხვა დანიშნულების მანქანებია დახატული. იმედია, თვითონ მიხვდებით, რომელი რა მანქანაა. თუ რომელიმე ვერ იცანით, უფროსებს ჰკითხეთ და გეტყვიან, თქვენ კი დაიმახსოვრეთ.

ინდექსი 76[illegible]

მხატვარი მიხეილ სოლოვიოვი